

„პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი
ფარული ბიზნეს ინტერესები“

მონიტორინგის შედეგები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
იანვარი, 2014 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი¹

1. საკითხის ანალიზისთვის
2. გიორგი (გიგა) ბოკერიას ინტერესები
3. გიგა უგულავას ინტერესები
4. გიორგი (გივი) თარგამაძის ინტერესები
5. შეფასება

¹ მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. საკითხის ანალიზისთვის

საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს მდგომარეობას, როდესაც საჯარო სამსახურში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირებს ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობა, თუმცა იმ მავნე პრაქტიკამ, რომელმაც გამოკვეთა საჯარო მოსამსახურეებისა და პოლიტიკოსების ინტერესები ბიზნეს-საქმიანობაში, საჭირო გახადა ყოველწლიური საჯარო დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ არის თანამდებობის პირის ქონებრივი და ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან“. ამ მხრივ, თანამდებობის პირის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი განსხვავდება ჩვეულებრივი მოქალაქის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსისაგან. კანონმდებელი თანამდებობის პირს საგანგებოდ ავალდებულებს, არ გამოიყენოს თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობა პირადი ინტერესების სასარგებლოდ და ამით ზიანი არ მიაყენოს საჯარო ინტერესებს. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულია „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსი“, რომლის ძალითაც, სახელმწიფო თანამდებობის პირმა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა არ უნდა გამოიყენოს შეუფერებელი პირადი ან ოჯახური ან/და ფინანსური სარგებლის მისაღებად“ (მუხლი 4), თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთია კანონმდებლობის და საერთაშორისო სავალდებულო წესების მოთხოვნები, მეორე ის სინამდვილე, რომელიც საქართველოს მაგალითზე შეიძლება არსებობდეს.

საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს, რომ „პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.“ ასევე, ამ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, ხოლო შემდგომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი აკონკრეტებს შემდეგს: პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება დაუშვებელია. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს: ა) უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად, ბ) უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი, გ) იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ორგანოში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, მაგრამ 2003–2012 წლების ქვეყნის მმართველობისა და პოლიტიკოსების ბიზნესში თანამონაწილეობის სტილი, ნამდვილად მოითხოვს შესწავლას, შეფასებას და ანალიზს, რათა დაცული იქნეს საჯარო წესრიგი და დაკმაყოფილებული საზოგადოებრივი ინტერესი.

ორგანიზაციამ, ამ მიმართულებით მონიტორინგის განხორციელება გადაწყვიტა, რომელიც ეფუძნება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დღის წესრიგში მთელი სიცხადით დადგა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა და კანონთან შესაბამისობის

დადგენა. ამიტომაც, საზოგადოება, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, თანდათანობით გაეცნობა შედეგებს, რომელსაც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი მოამზადებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ისტორიას მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, რა დროსაც, საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 31 მარტის დადგენილებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმჟამად მოქმედი პარლამენტარისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წელს საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მოსარჩელის სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე მოგვცა ნიშანდობლივი განმარტებები, რომლითაც აღინიშნა, რომ პარლამენტის წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელება, რაც ძირითადად ფარულ ხასიათს ატარებს, თავისი შინაარსით კიდევ უფრო მეტი საფრთხის მატარებელია, ვიდრე ღია და დეკლარირებული კანონდარღვევა კომპანიაში რომელიმე თანამდებობის დაკავების სახით. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებებით, საზოგადოებაში მნიშვნელოვან დისკუსიას მიეცა დასაბამი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კერძო და საჯარო ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერ ვითარებაში, ეს კონფლიქტი უნდა მოიხსნას და არჩევანი უნდა გაკეთდეს რომელიმე ინტერესის სასარგებლოდ. თანამდებობის პირის ვალდებულება – შორს დაიჭიროს თავის ინტერესთა კონფლიქტისაგან, წარმოადგენს მის არამართო სამართლებრივ, არამედ ეთიკურ–ზნეობრივ ვალდებულებასაც, რაც მისი საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარეობს. საჯარო სამსახური ავალდებულებს პიროვნებას, აცნობიერებდეს აღნიშნული ვალდებულების არსს და მოქმედებდეს მის შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება საქართველოს პარლამენტის წევრებზეც – სახელისუფლებო სისტემაში მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება მომეტებულადაც კი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს პარლამენტის წევრის საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის შეფასებისას, ნებისმიერ შემთხვევაში, საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს მასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაშიც (საქმე 04/04) აღნიშნულია, რომ „სეიმის წევრის თითოეული საქმიანობის შემოწმებისას, ჩართულია თუ არა იგი კერძო ბიზნესში, თუ კომერციაში და ა.შ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თვითონ ამ საქმიანობის არსი და ყველა სხვა გარემოება.“ ამგვარი მიდგომის იგნორირებას, საქართველოს პარლამენტის წევრის საქმიანობის შეფასებაში, შეიძლება შედეგად მოჰყვეს კერძო ან საჯარო ინტერესების უსაფუძვლო, კონსტიტუციისაგან გაუცხოებული მხარდაჭერა.

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, ერთი მხრივ დაცულია კანონის მოთხოვნები, მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარირება არ ტოვებდეს განსაკუთრებული ვარაუდების საფუძველს, თუმცა იმავე საჯარო მოხელეებს საკუთარი ბიზნეს–ინტერესები გადანაწილებული აქვთ ოჯახის ან/და ახლობლებს, ხოლო მოქმედი საჯარო მოხელეების თანამდებობრივი მდგომარეობა გამოიყენება კანონის ირიბი დარღვევით, პირადი და ოჯახური ფინანსური სარგებლის მისაღებად.

2. გიორგი (გიგა ბოკერიას) ინტერესები

საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი ბოკერიას მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაციის მიხედვით, მის სახელზეა გაფორმებული უძრავი ქონება - ბინა პეკინის გამზირზე N2, ფართობი - 60.00 კვ.მ, ხოლო მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე გაფორმებულია მსუბუქი ავტომანქანა BMW 120. გიგა ბოკერიას არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები, ხოლო საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან, მას ხელფასის სახით მიღებული აქვს 85790.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს, ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან, 132000.00 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, თამარ ჩერგოლეიშვილი აღნიშნული ჟურნალის აქციონერია.

დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ბოკერიას სესხის სახით აღებული აქვს 27 000.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს სესხის ხელშეკრულების სახით, აგრეთვე 52500.00 ლარი. მასვე ეკუთვნის კიდევ ორი სასესხო ვალდებულების აღება, ერთგან 23 500.00 ლარის, ხოლო მეორე შემთხვევაში – 25 000 ლარით. აგრეთვე, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე, ფრანგულ ბანკში, საბანკო ანგარიშზეა 119 000.00 ევრო, ხოლო საქართველოს ბანკებში შემდეგი ფულადი დანაზოგი: 1403.70 აშშ დოლარი („თიბისი ბანკი“) და 6681.00 ლარი („ლიბერთი ბანკი“). თავად გიგა ბოკერიას ანგარიშზე კი, დეკლარაციის მიხედვით, 7799.56 ლარი გააჩნია. („თიბისი“ ბანკი).

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში, ყურადღება მიაპყრო გიგა ბოკერიას ოჯახის წარმომადგენელთა ბიზნეს საქმიანობას და ამ თვალსაზრისით, გიგა ბოკერიასთან დაკავშირებულ ფირმებს, არსებული მასალების მიხედვით, 45 მლნ ლარამდე შემოსავალი აქვთ მიღებული. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიას ფარული ბიზნეს ინტერესები უნდა დავინახოთ მამის, მეუღლის, მეუღლის დისა და სიძის ბიზნეს საქმიანობებში.

გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია წარმოადგენს სამშენებლო ფირმა შპს „ლებოს (ს/ნ 205172999). აღნიშნული კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი სწორედ ლევან ბოკერიაა, საზოგადოების ერთობლივი შემოსავალი კი შეადგენს 2 363 606 ლარს. ლევან ბოკერია, აგრეთვე ფლობს 20%-იანი წილს სამშენებლო ფირმა შპს „არქსტუდიაში“ (ს/ნ 211326867), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 26 523 662 ლარს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ გიგა ბოკერიას ცოლის და რუსუდან ჩერგოლეიშვილი წარმოადგენს სარემონტო ფირმა შპს „ოლივდიზაინის“ (ს/ნ 202351383) დამფუძნებელს, რომელიც კომპანიაში ფლობს 50%-იან წილს. ორგანიზაციის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 14 621 734 ლარს. რუსუდან ჩერგოლეიშვილი, აგრეთვე ფლობს 50%-იან წილს გალერეა შპს „ახალი გალერეა“-ში (ს/ნ 404399593) რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 161 474 ლარს.

ამასთან, ყურადღებას მივაქცევთ რუსუდან ჩერგოლეიშვილის მეუღლის, კახაბერ ნინუა საქმიანობასაც, რომელიც დამფუძნებელია შემდეგ ორგანიზაციებში:

- შპს „გალფ რეისინგი“, რომლის ერთობლივი შემოსავალია: 324 487 ლარი (ს/ნ 404915320, წილი - 100%, საქმიანობა: ავტომობილებით მომსახურება,)

- ააიპ „სამხედრო ოპერაციებში გარდაცვლილი მოსამსახურეთა და დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდი თანადგომა, რომლის ერთობლივი შემოსავალი იყო 1 552 873 ლარი. კომპანია 2012 წლის აპრილში იქნა ლიკვიდირებული. (ს/ნ 204559245)

კახაბერ ნინუას 2011 წლის 8 დეკემბერს შეძენილი აქვს 3 025კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი წყნეთში (ნაკ. 111/033) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან. აგრეთვე, 2011 წლის სექტემბერში, 1000კვ.მ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე. შესყიდული ქონებების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 400 000 ლარს.

3. გიორგი (გიგი) უგულავას ინტერესები

თბილისის უფლებამწერებული მერი, გიორგი უგულავა "ლიბერთი ბანკი" ანაგრიშზე სახელფასო ანგარიშიდან ფლობს 19350.00 ლარს, „საქართველოს ბანკში“- 1300.00 ლარს, ხოლო მისი მეუღლე ლელა კილაძე ამავე ბანკში მფლობელია 2000.00 ლარის. ამასთან, წარმოდგენილი დეკლარაციის მიხედვით, ნაღდი ფულის სახით, ლელა კილაძე ფლობს 4000.00 ლარს, გიორგი უგულავა კი 5000.00 ლარს. მის სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით დეკლარაციაში მონაცემები არ მოიპოვება. გიორგი უგულავას თბილისის მერიიდან მიღებული აქვს 95400.00 ლარი, ხოლო ლელა კილაძეს, რომელსაც ეჭირა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კულტურულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველის თანამდებობა, მიღებული აქვს 49450.00 ლარი. ამასთან, დეკლარაციით მტკიცდება, რომ გიორგი უგულავას გააჩნია სასესხო ვალდებულება – სესხი/ოვერდრაფტი ფულადი თანხით 20000.00 ლარი. ისევ „საქართველოს ბანკში“ სესხი, ოვერდრაფტი ფულადი თანხით 50000.00 ლარი. მიღებული არ აქვს საჩუქარი, რომელიც აღემატება 500 ლარს დეკლარაციით, გასავალს წარმოადგენს შვილების სწავლის საფასური 5555.00 ლარის ოდენობით და 1914.00 ლარი.

ორგანიზაციამ მონიტორინგის შედეგად გამოავლინა სხვა კავშირებიც. კერძოდ, გიგი უგულავასთან დაკავშირებულ კომპანიებსა და ფირმებს, 13 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ მიღებული, ხოლო ოჯახის ბიზნეს-ინტერესებს განასახიერებს კომპანიები: „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ“, „ლთ ჯგუფი“. აღნიშნული კომპანიების უმეტესობას მოგებული აქვს სახელმწიფო ტენდერები. მათი დამფუძნებლები თუ მეწილეები ფლობენ ძვირადღირებულ უძრავ ქონებას თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

გიგი უგულავას სიდედრს - ნინა კილაძეს 50% წილი აქვს შპს „მანი“-ში. მისი საქმიანობის სფეროა გაჯის წარმოება, სულ ერთობლივი შემოსავალი აქვს 3 მლნ ლარზე მეტი. ფირმის სახელზეა 10 569 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე დამაგრებული 1 943 კვ.მ. შენობა ნაგებობით გარდაბანში, სოფ კრწანისში. ნინა კილაძის საკუთრებაშია 37 კვ.მ. ბინა წყნეთის გზატკეცილი, № 16-18 სახლების ადგილზე ბინა № 103, რომელიც 2011 წლის 26 დეკემბერს აჩუქა შვილმა ლელა კილაძემ. ასევე მის საკუთრებაშია 451 კვ.მ. მიწა ხაშურში შემდეგ მისამართზე: მაიაკოვსკის ქუჩა, N3-ში, რომელიც ნინა კილაძემ 2010 წლის 14 იანვარს ჩუქებით მიიღო ლეილა ბარბაქაძისგან.

გიგი უგულავას ქვისლს - გიორგი ღონიაშვილს, 2012 წლის 26 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულებით 50 000 აშშ დოლარად შეძენილი აქვს 4245 კვ.მ. მიწა სოფ. ტაბახმელაში. ასევე, 2012 წლის 30 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულებით 6 000 აშშ დოლარად შეძენილი აქვს 571 კვ.მ. მიწა სოფ. ტაბახმელაში. ასევე, 2013 წლის 25 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით 82 000 აშშ დოლარად შეძენილი აქვს 102 კვ.მ. ბინა ყაზბეგში, სოფ. გუდაური, ბინა 41.

გიგი უგულავას ძმას - ირაკლი უგულავას, 50% წილი აქვს შპს „ჯეოლენდი“-ში, ერთობლივი შემოსავალი - 6 ნახევარი მლნ ლარი. საქმიანობის სფეროა აზომვითი ნახაზების წარმოება. „ჯეოლენდი“ გამარჯვებულია 38 სახელმწიფო ტენდერში საერთო ღირებულებით 685 864 ლარი. ერთ პირთან მოლაპარაკებით, სახელმწიფოს მასთან დადებული აქვს 114 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 131 843 ლარი.

ფირმას საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 ოქტომბრის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ განკარგულებით სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საბეწეში მდებარე 8000 კვ.მ. მიწის ნაკვეთიც. ასევე, ფირმას 2006 წლის 8 მაისს 113 კვ.მ. ფართი, 2006 წლის 8 დეკემბერს 87 კვ.მ და 46 კვ.მ. ფართები შეძენილი აქვს ერთსა და იმავე მისამართზე. კერძოდ, თბილისში, ჩიხი ტელეგრაფის N3-ში. გარდა ამისა, „ჯეოლენდი“ 21% წილის მფლობელია კუთვნილ კვების ობიექტში დაბა ბაკურიანში, რომლის შემოსავალი ნახევარ მლნ ლარზე მეტი.

კომპანია „ჯეოლენდს“ 2012 წლის 19 ოქტომბერს, 213 000 ლარად, სახელმწიფოსგან შეძენილი აქვს 7 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე დამაგრებული 393 კვ.მ. ნაგებობით ბორჯომის რაიონის, დაბა ბაკურიანი. "ცენტრალური პარკი"-ს მიმდებარედ. ირაკლი უგულავას 2012 წლის 12 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით 11 700 აშშ დოლარად შეძენილი აქვს 780 კვ.მ. მიწა სოფ. ტაბახმელაში.

გიგი უგულავას ბიძას (მამიდის ქმარი) - თამაზ გოგიაშვილს, 100% წილი აქვს შპს „თ.ფ“-ში, სულ ერთობლივი შემოსავალი - 3 მლნ-დე ლარი, საქმიანობა ფეიერვერკების იმპორტი და რეალიზაცია, საზოგადოება გამარჯვებულია 13 სახელმწიფო ტენდერში საერთო ღირებულებით 1 120 529 ლარი. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, მასთან სახელმწიფოს დადებული აქვს 28 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 192 136 ლარი. 100% წილი აქვს შპს „ლთ ჯგუფი“-ში, სულ ერთობლივი შემოსავალი - 631 329 ლარი, საქმიანობა ფეიერვერკების და გასანათებელი საშუალებების იმპორტი და რეალიზაცია, საზოგადოება გამარჯვებულია 5 სახელმწიფო ტენდერში საერთო ღირებულებით 193 390 ლარი. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მასთან სახელმწიფოს დადებული აქვს 11 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 193 390 ლარი.

გიგი უგულავას ცოლის მამიდას - რუსუდან კილაძეს, 2012 წლის 19 ოქტომბერს 232 740 აშშ დოლარად შეძენილი აქვს 465 კვ.მ. ფართი ქალაქი თბილისში, 9 აპრილის ქუჩა, N3 / ქუჩა ჩიტაძე N5, / ქუჩა ინგოროყვა N19-ის მიმდებარედ ბინა N17-ში.

გიგი უგულავას ცოლის ნათესავის თამაზ გოგიაშვილის ფირმები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის მერიის, მერიის მიერ დაფუძნებული ფირმების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, რომლებიც ძირითადად ეხება ფეიერვერკებით მომსახურეობის და გასანათებელი საშუალებების შეძენას. აღნიშნული ტენდერების დათვალიერება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების საიტზე: <https://tenders.procurement.gov.ge/login.php>

ელ. ტენდერების ნომრები:

SPA110031047; SPA120021658; SPA120007579; SPA110003903; SPA110026253; SPA110029512; SPA110030391; SPA110031047; SPA110031561; SPA110031808; SPA110007157; SPA110013842;

4. გივი თარგამაძის ინტერესები

ოფიციალური დეკლარაციის თანახმად. გიორგი (გივი) თარგამაძის საკუთრებაში არსებული ქონებაა ბინა – თბილისში, მოსაშვილის ქ.12, ბინა 24, ფართობი - 160.00 კვ.მ მოძრავი ქონება მეუღლის, ნინო მუშკუდიანის სახელზე: " BMW 5 გრანდ ტურიზმო". პარლამენტის წევრს არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები. არ გააჩნია საბანკო ანგარიშზე თანხა, ხოლო ნაღდი ფული მხოლოდ მეუღლის ნინო მუშკუდიანის სახელზე, 5000.00 აშშ დოლარი ირიცხება. დეკლარაციაში არ მოიპოვება მონაცემები გივი თარგამაძის სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მას მხოლოდ მიღებული აქვს ანაზაურება საქართველოს პარლამენტიდან წევრობისა და , თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან, სულ 61539.00 ლარის ოდენობით. არ აქვს დადებული ხელშეკრულება ,რომლის ღირებულებაც აღემატება 3000 ლარს. არ აქვს მიღებული საჩუქარი ,რომლის ღირებულებაც აღემატება 500 ლარს.დეკლარაციაში არ აქვს მითითებული შემოსავალი/გასავალი ,რომლის ღირებულებაც აღემატება 1500 ლარს.

ორგანიზაციამ განახორციელა მონიტორინგი პარლამენტის წევრის სახელთან დაკავშირებულ კომპანიებთან დაკავშირებით, რომელიც დღეს წარმატებით საქმიანობენ ბაზარზე. მოკვლევის შედეგად დგინდება, რომ გივი თარგამაძის ოჯახს 85 მლნ ლარამდე შემოსავალი აქვს მიღებული. ოჯახი და ოჯახთან დაახლოებული პირები აქტიურად საქმიანობენ მომგებიან კომპანიებში და იღებენ მაღალ მოგებას. მაგალითად, შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“ –ი (ს/ნ 204455400), რომელიც დაფუძნებულია 2003 წლის 20 ნოემბერს, ქ.თბილისში, სანაპიროს ქ.#14-ში. ფირმის 15%-ის დამფუძნებელია გივი თარგამაძის ძმა ზაზა თარგამაძე. ფირმის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მშენებლობა და სამშენებლო მასალების რეალიზაცია. 2005-2012 წლებში, ფირმის ერთობლივი შემოსავალი წარმოადგენს 60 მლნ ლარზე მეტი. შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“-ის მიერ შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"-თან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საერთო ჯამში მიღებული აქვს 12 840 051 ლარი. (სარემონტო სამუშაოები)

დასახელება	შესყიდვა	თარიღი	თანხა
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (404389693)	CMR120256136	28.09.2012	302 148
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (404389693)	CMR120254003	24.09.2012	501 433
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (404389693)	CMR120238025	07.08.2012	727 363
შპს საქაერონავიგაცია (208144051)	CMR120174626	27.04.2012	1 496 996
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (404389693)	CMR120162858	23.04.2012	129 251
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (404389693)	CMR120160311	20.04.2012	8 301 772
შპს საქაერონავიგაცია (208144051)	CMR120159364	19.04.2012	617 023
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (404389693)	CMR120158816	19.04.2012	533 145
შპს საქაერონავიგაცია (208144051)	CMR120156382	17.04.2012	230 920

კომპანია „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპის“ მიერ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საერთო ჯამში მიღებული აქვს 2 324 780 ლარი:

კოდი	სახაზინო საწარმოს დასახელება	თარიღი	თანხა	ოპერაციის დასახელება
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	13.05.2010	119 616	მ/წ საცხოვრებელ. შენობებ. რეკონსტრ. ხელშ. #SB/IDP/CW/58-2009/5 08.12.09.
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	07.06.2010	154 680	მ/წ საცხოვრებელ. შენობებ. რეკონსტრ. ხელშ. #SB/IDP/CW/58-2009/5 08.12.09.
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	02.06.2011	149 500	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	23.06.2011	120 436	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	04.04.2011	192 073	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	09.03.2011	92 896	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	13.07.2011	110 259	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	08.07.2011	88 984	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	30.04.2010	231 617	მ/წ საცხოვრებელ. შენობებ. რეკონსტრ. ხელშ. #SB/IDP/CW/58-2009/5 08.12.09.
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	30.04.2010	20 426	მ/წ საცხოვრებელ. შენობებ. რეკონსტრ. ხელშ. #SB/IDP/CW/58-2009/5 08.12.09.
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	16.05.2011	20 384	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	20.06.2011	216 588	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	20.12.2010	44 816	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	06.05.2011	74 850	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	19.07.2010	34 680	მ/წ საცხოვრებელ. შენობებ. რეკონსტრ. ხელშ. #SB/IDP/CW/58-2009/5 08.12.09.
206074193	სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარ.	28.02.2012	6 912	მ/წლის საცხოვრებელი უბნის რეაბოლიტაცია ფოთში
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	30.08.2011	59 451	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	24.08.2011	59 451	მ/წ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უბნის მშენებლობა (ფოთი)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	28.10.2010	64 833	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით.	09.02.2011	50 956	მ/წლის საცხოვრებელი

	ფონდი			შენიშვნის რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	20.07.2011	174 216	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია/კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა ფოთში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	02.08.2011	247 559	მ/წლის საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქცია /კაპ. რემონტი (საცხოვრებელი უბნის მშენებლობა წყალტუბოში)
206074193	სსიპ საქ. მუნიციპ. განვით. ფონდი	30.08.2010	49 778	მ/წ საცხოვრებ. შენობებ. რეკონსტრ. ხელშ. #SB/IDP/CW/58-2009/5 08.12.09.

მნიშვნელოვანია, რომ „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“-ს, 2010-2013 წლებში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ეროვნული ბანკისთვის შესრულებული აქვს 22 მლნ ლარზე მეტის სამუშაოები. კომპანიას, კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 2012 წელს, შესრულებული აქვს კახეთში სტიქიის დროს დაზიანებული სახლების სახურავების სარემონტო სამუშაოები საერთო ღირებულებით 300 556 ლარი.

ამასთან, მონიტორინგის წარმოების დროს, ორგანიზაციის ყურადღება მიიპყრო კომპანიებმა: შპს „მილკ ვეი“ (ს/ნ404384910), შპს „ირაო არტ“ (ს/ნ204536010) და შპს „კალანდა“ (ს/ნ204874790), რომელთა ხელმძღვანელები/დამფუძნებლები პარლამენტარის ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები არიან. კერძოდ, შპს „მილკ ვეი“ დამფუძნებელია 100%-იანი წილით კონსტანტინე მიქელაძე, რომელიც გივი თარგამაძის მეგობრად სახელდება. კომპანია 2010 წლის 16 ივლისიდან საქმიანობს და ინტერესის სფეროს წარმოადგენს ტკბილეულის, რძისა და შოკოლადის ნაწარმის იმპორტი უკრაინიდან საქართველოში. 2010-2013 წლებში, კომპანიის ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 20 მლნ ლარზე მეტი. რაც შეეხება სხვა ორ კომპანიას, შპს „ირაო არტ“-სა და შპს „კალანდას“, მისი დამფუძნებელი პარლამენტარის ძმა ზაზა თარგამაძეა. პარლამენტარის ოჯახის წევრი კომპანიაში 30%-იანი წილის მფლობელია, რომელიც 2007 წლიდან წარმატებით საქმიანობს არქიტექტურის, პროექტირება, რეკონსტრუქცია და დიზაინის ბაზარზე. საწარმოს ჯამურმა ბრუნვა 2007-2012 წლებში შეადგინა 1 350 551 ლარი, ხოლო შპს „კალანდა“, რომელიც 2009 წლიდან საქმიანობს, 2009-2012 წლებში, მისმა ბრუნვამ შეადგინა 1 196 571 ლარი.

5. შეფასება

„ახალგაზრდა ადვოკატები“, განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, მიღებული შედეგების თვალსაზრისით, საჭიროდ მიიჩნევენ დაცული იქნეს კანონის მოთხოვნები, მათ შორის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ მიმართულებით,

საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოკვლევა და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა, მათი შესაძლო კავშირები ბიზნესთან და განისაზღვროს, თუ რას ნიშნავს საჯარო მოხელის „ოჯახური ბიზნეს-ინტერესები“ საქართველოში.